საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბამბაკი

ბამბაკი, მხარე ისტორიულ სამხრ. საქართველოში (ამჟამად სომხ. რესპ.). მოიცავს მდ. დებედის სათავის მთიან ხეობას. იგი სტრაბონისეული გოგარენეს და სომხ. წყაროების გუგარქის ანუ ქვემო ქართლის უკიდურესი სამხრ. თემი იყო. ძვ. წ. II ს-ში გოგარენეს პროვინციას სომხ. სამეფო დაეუფლა. მომდევნო ხანაში ბ. ხან სომხ., ხან კი ქართლის შემადგენლობაში შედიოდა, ვიდრე იგი V ს-ში ვახტანგ გორგასალმა არ შემოიერთა. IX–X სს-ში ბ. შედიოდა ჯერ ანისის სამეფოს, შემდეგ კი ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს შემადგენლობაში. მომდევნო საუკუნეებში საქართვ. ფარგლებში იყო. XVII ს. დასაწყისში ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ყიზილბაშური ირანის ექსპანსიის შედეგად შეიქმნა თურქმანული პოლიტ. ერთეულები – ბორჩალოს სახანო და ლორის სასულთნო. ბ. ბორჩალოს სახანოს შემადგენლობაში მოჰყვა. XVIII ს. II ნახევარში იგი გამოეყო ბორჩალოს და ჩამოყალიბდა ცალკე ადმ. ერთეულად – ბ-ის სამოურავოდ, რ-საც ქართლ-კახეთის მეფის მიერ დანიშნული ქართვ. მოურავი მართავდა. ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ ბ. თბილისის გუბ. ლორის მაზრის შემადგენლობაშია. XIX ს. II ნახევარში ერევნის გუბ. ალექსანდროპოლის მაზრაში შევიდა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ზ. ცინცაძე